# 4 სექტემბერს: 5 ოქრო!

■ ვ. ბორზოვი — 200 მეტრზე რბენა ■ წყალბურთი
■ ვ. სანეევი — სამხტომი ■ ი. ფალფსი — ძალოსნობა
■ მ. სემენეცი და ი. ცელოვალნიკოვი — ტანდემი

München-72

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 176 (4686)

1972 წ. 6 სექტემბერი, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

# დიდე მეათე

მიუნხენი, 4 სექტემბერი. დღეს ორმა საბჭოთა ძლეოსანმა თავისი მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიხვეჭა. 80 ათასი მაყურებელი აღტაცებული ტაშითა და ყიჟინით მიესალმა ევროპის ჩემპიონისა და რეკორდსმენის, კიეველი ვ. ბორზოვის განსაცვიფრებელ გამარჯვებას 200 მეტრზე რბენაში. ბორზოვი პირველი ევროპელი სპრინტერია, ვინც ეს მანძილი 20 წამზე სწრაფად გაირბინა — 19,99. სწორედ ეს ციფრები აღნუსხა ელექტროქრონომეტრმა, მაგრამ კონტინენტის რეკორდების ცხრილში ბორზოვის გვარის გასწვრივ დამრგვალებული ციფრი — 20,0 — დაიწერება.

ხანგრძლივ მორბენალი ლ. ბლეკი (აშშ) ბორზოვს 0,19 წამით ჩამორჩა, თუმცა ფინიშის სწორზე ერთ მომენტში ოდნავ უსწრებდა კიდეც თავის მრისხანე მეტოქეს. ევროპის უწინდელი რეკორდის თანაავტორი, იტალიელი პ. მენეა, რომელიც სწორედ ამ დისტანციისთვის ინახავდა თავს (როგორც ვიუწყებოდით, იგი სწორედ ამიტომ არ გამოვიდა 100 მეტრზე რბენის სტარტზე), III ადგილზეა. იგი ბორზოვს 0,3 წამით ჩამორჩა.

ამრიგად, ბორზოვი პირველი არაამერიკელი სპრინტერია, ვინც ოლიმპიურ თამაშებში 100 და 200 მეტრზე რბენა მოიგო.

ვ. სანეევზე საბჭოთა სპორტის მოყვარულები და სპეციალისტები არანაკლებ იმედს ამყარებდნენ. და აი, თბილისელმა ნამხტომელმა თავისი ნიჭის თაყვანისმცემლები არ გააწბილა — მეხიკოში მოპოვებულ ოქროს მედალს ასეთივე ღირსების მიუნხენური ჯილდო დაუმატა. სანეევის პირველი ნახტომი — 17,35 მ. როგორც ხედავთ, მან შეჯიბრების დაწყებისთანავე გააკეთა უაღრესად სერიოზული განაცხადი. გაჩაღდა მწვავე ბრძოლა — სანეევს დაუნდობელი ომი გამოუცხადა ევროპის ჩემპიონმა ი. დრემელმა (გდრ). მეხუთე ცდაზე გერმანელი კონალამ „დაეწია“ ლიდერს — 17,31 მეტრზე გადახტა.

მეორე საბჭოთა სპორტსმენმა, კრასნოდარელმა მ. ბარიბანმა IX ადგილი დაიკავა — 16,30 მ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 16 წლის ულრიკა მაიფარტის (გფრ) გამარჯვება სიმაღლეზე ხტომაში. მას ბევრ ფავორიტთან მოუხდა ჭიდილი, მაგრამ ულრიკა არავის შეუშინდა და 192 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახა. ეს კი მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

ცურვაში მიუნხენის სარბიელზე ამერიკელებს ბადალი არ ჰყავდათ: შეჯიბრების პროგრამის 29 სახეობიდან მათ 18 მოიგეს. ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები ამერიკელებს ამჯერად უფრო მძაფრ მეტოქეობას უწევდნენ, რის შედეგადაც, წინა ოლიმპიადასთან შედარებით, „ახალი სამყაროს“ წარმომადგენლებმა სამი ოქროს მედლით ნაკლები მიიღეს. შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში ცურვის პროგრამა თითქმის ერთი მესამედით შეიკვეცება, ვინაიდან იგი ქრონიკულად გაბერილია... სწორედ ამის წყალობით მოიპოვეს აშშ-ს სპორტსმენებმა თავიანთი ოლიმპიური ჯილდოების უმეტესი ნაწილი.

ოლიმპიური აუზი ძალიან „სწრაფი“ გამოდგა: აქ 30 მსოფლიო რეკორდი დამყარდა.

4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში საბჭოთა გუნდს წინასწარი გაცურვების მიხედვით მესამე შედეგი ჰქონდა, მაგრამ ფინალში იგი პრიზიორთა სამეულის მიღმა დარჩა (IV ადგილი — 3.53,26).

უნგრელებთან გადამწყვეტ მატჩში საბჭოთა წყალბურთელებს ფრეც აძლევდათ ხელს — ბურთების ბალანსი უკეთესი ჰქონდათ. და მართლაც, ეს უაღრესად დაძაბული შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3. ამრიგად, სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ხოლო ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონები — უნგრელები ამჯერად ვერცხლს დასჯერდნენ.

აი, თავისებური სენსაციაც: ბრინჯაოს ჯილდო ამერიკის გუნდმა მოიგო, ხოლო 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი — იუგოსლავიის ნაკრები მხოლოდ V ადგილით დაკმაყოფილდა.

საბჭოთა ესპადრონისტების გუნდმა თავისი მეხიკური ოქრო ვერცხლზე „გაცვალა“ — ფინალში ანგარიშით 5:9 დამარცხდა იტალიელებთან. საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლ. საიჩუკის აზრით, გუნდური ბრძოლის ბედზე პირადი ტურნირის ფინალურ ფაზაში გამოცდილი ვ. სიდიაკისა და ვ. ნაზლიმოვის უხეირო გამოსვლებმა იმოქმედა. ისინი აშკარად ღაიღალნენ, თანაც ნახევარფინალში ძლიერ და გამოცდილ უნგრელებთან მოუხდათ ასპარეზობა (გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა — 9:7). ასე გაიფლანგა ფინალის გზაზე ძალ-ღონე, რომელიც ესოდენ აუცილებელი იყო ყველაზე ძნელი ბრძოლებისთვის (მეორე ნახევარფინალში იტალიელებმა ანგარიშით 9:7 სძლიეს რუმინელებს).

რინგზე საღამოს გამართულ ერთ-ერთ ბოლო ბრძოლაში ვ. ლემეშევმა (75 კგ-მდე) დამაჯერებლად სძლია პ. ზრაუსკეს (გდრ). 5 სექტემბერს იწყება მეოთხედფინალური შეჯიბრებები, რომლებშიც 11 საბჭოთა მოკრივიდან 7 გამოვა. სხვა გუნდები კიდევ უფრო მეტად დაზარალდნენ.

... ოლიმპიურ ტრეკზე პირველად გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი, პირველად არა მარტო მიუნხენში, არამედ ოლიმპიადების მთელს ისტორიაში. თითქოს არც კი სჯეროდა თავისი ბედნიერება, ისე იდგა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორი მოკრძალებული ჭაბუკი — კიეველი ვ. სემენეცი და ხარკოველი ი. ცელოვალნიკოვი. მათ ეს-ეს არის მიიღეს ოქროს მედლები ტანდემებით სპრინტერულ რბოლაში გამარჯვებისთვის.

— ნამდვილი მებრძოლები არიან, — თქვა მათზე სპრინტში XX თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა თ. ფესაკაძემ. — მას შემდეგ, რაც ამ წყვილმა

(დასასრული მე-2 გვ.)



ხ უ რ ა თ ზ ე: ვ. სანეევი მიუნხენის სარბიელზე ასპარეზობის დროს.
(მიუნხენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

საქართველოს პროფსაბჭოში

# იწყება ანგარიშგება-არჩევნები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოეწყოს პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები:

საწარმო-დაწესებულებათა, აგრეთვე, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდეს ამა წლის 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე, ხოლო რაიონული, საქალაქო, საოლქო, სავზაო და რესპუბლიკური კონფერენციები — 1972 წლის 15 დეკემბრიდან 1973 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საოლქო და რესპუბლიკურ პროფსაბჭოებს, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს მაღალ პოლიტიკურ-საორგანიზაციო დონეზე უზრუნველყონ ანგარიშგება-არჩევნების მომზადება და ჩატარება.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და კონფერენციებზე საჭიროა განისაზღვროს და დადგინდეს პრაქტიკული ღონისძიებანი უახლოესი წლების მანძილზე მოსახლეობაში და მოსწავლეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის და, ამასთან, იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა და სსრ კავშირის პროფკავშირების XV ყრილობის გადაწყვეტილებებით.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფიზკულტურული კადრების შერჩევას და განაწილებას საქმიანი თვისებების ყურადღებიანი და ყოველმხრივი შესწავლით, კანდიდატთა ფართო განხილვით კრებებსა და კონფერენციებზე. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების საბჭოებში, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებში საუკეთესო აქტივისტებისა და ფიზკულტურელების არჩევა, რომლებსაც შეუძლიათ უნარიანად უხელმძღვანელონ საქმეს, დანერგონ ფიზიკური კულტურა და სპორტი მოსახლეობაში, აამაღლონ სპორტსმენთა ოსტატობა.

ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში საჭიროა მტკიცედ იქნას დაცული პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებების წესდებები. სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკისა“ და „ვოდნიკის“ რესპუბლიკურ, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და დაამტკიცონ ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების გრაფიკი სპორტსაზოგადოებათა ყველა რგოლში და ფართოდ ჩააბან ამ საქმეში ფიზკულტურული აქტივი.

ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა საბჭოებმა უნდა მოაწყონ კურსები და სემინარები ფიზკულტურული კოლექტივების თავმჯდომარეთა მოსამზადებლად, აღმოუჩინონ დახმარება ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებს სამქროთა ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოების თავმჯდომარეთა სწავლებაში.

(საქინფორმი).

# პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით 1972 წლის 15-16 სექტემბერს ეწყობა საქართველოს პროფკავშირულ-კომკავშირული მძლეოსნური საშემოდგომო კროსის ფინალი. ეს შეჯიბრება ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

კროსის მიზანია გააუმჯობესოს მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში; ფართოდ ჩააბას მშრომელები და მოსწავლე ახალგაზრდობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში რეგულარულ მეცადინეობაში, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ნორმატივების ჩაბარებაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესრულებაში.

კროსის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს პროფკავშირთა ნაკრები გუნდი.

კროსში საასპარეზოდ დაიშვება ყველა მსურველი, რომელმაც წინასწარი მომზადება და სამედიცინო შემოწმება გაიარა. ფინალში დაიშვებიან პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ნაკრები გუნდები „განთიადი“, „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „ვოდნიკი“, საწარმოთა კოლექტივების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტული კლუბები.

კროსის ფინალამდე მოეწყობა მასობრივი შეჯიბრებები საამქროებში, განყოფილებებში, ცვლებში, ფაკულტეტებზე, კურსებზე, სასწავლო ჯგუფებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, რაიონებსა და ქალაქებში ფიზიკური კულტურისა და სპორტული კლუბების კოლექტივებს შორის.

გუნდები, რომლებიც საპრიზო ადგილებს დაიკავებენ, დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თასითა და საპატიო სიგელებით.

München -72

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## დ ღ ე მ ე ა თ ე

დასასრული

ნახევარფინალში 1968 წლის ოლიმპიურ ჩემპიონებს, ფრანგებს მორელონსა და ტრანტენს აჯობა, მე ვირწმუნე, რომ ჩემპიონობას სემენცესა და ცელოვალნიკოვს ვეღარავინ წაართმევდა.

ფინალი საბჭოთა წყვილისთვის ცუდად დაიწყო. პირველი სერიის ფინიშამდე 200 მეტრი რჩებოდა, როცა ცელოვალნიკოვს მოეჩვენა, თითქოს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა — გდრ-ის წარმომადგენლებმა ვ. ოტომ და ი. გეშკემ წესი დაარღვიეს, და ხელები ასწია. მეტოქეები წინ გაიჭრნენ, მსაჯებმა კი ყველაფერი წესიერად მიიჩნიეს და, ცხადია, გამარჯვებაც გერმანელებს ხვდათ.

ამ გულდასაწყვეტმა შეცდომამ ვერ გასტეხა საბჭოთა მრბოლელების სული. მეორე სერიაში მათ თავბრუდამხვევი ბიძგით ოდნავ აჯობეს ძლიერ მეტოქეებს. ყველაზე დაძაბული გამოდგა მესამე სერია, რომლის ბედიც ფოტოფინიშმა გადაწყვიტა.

III ადგილზეა პოლონელთა დუეტი.

• • •

დილით გამართული შეჯიბრებებიდან ზოგმა სიხარული მოგვიტანა, ზოგმაც — სინანული.

დაშნით მოფარიკავეთა წინასწარ ტურნირში სამივე საბჭოთა სპორტსმენი წარმატებით გამოვიდა: გ. კრისი, ს. პარამონოვი და ი. ვალეტოვი ნახევარფინალში გავიდნენ.

საბჭოთა მოკრივეების გუნდის „უხუცესმა" წევრმა — 36 წლის ვ. ივანოვმა მერვედფინალურ ორთაბრძოლაში ქულებით სძლია ბულგარელ ა. ნიკოლოვს, ა. კამნევმა კი მესამე რაუნდში ნოკაუტით წააგო კუბელ ა. მოლინასთან.

400 მეტრზე ბრძოლას გამოეთიშა მოსკოველი ნ. კოლესნიკოვა — 52,3. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს ნახევარფინალური გარბენი ოლიმპიური რეკორდით (51,5) მოიგო მსოფლიო რეკორდსმენმა მ. ცერტმა (გდრ).

200 მეტრზე ქალთა რბენის ნახევარფინალში ორი საბჭოთა მძლეოსანი გამოვა: სსრ კავშირის რეკორდსმენი ნ. ბესფამილნაია (მეოთხედფინალში — 23,2) და მ. სიდოროვა.

ვ. კუკუშკინი, ა. ლევინსონი, ა. სტაროდუბი, ი. ხრომოვი.

(საკუთარი სპეც. კორ.).



სურათზე: 200 მეტრზე რბენის ფინიში. მარჯვნიდან — ვ. ბორზოვი, ლ. ბლეკი და პ. მენეა.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).



სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონი — სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები. მარცხნიდან — პირველ რიგში: ვ. უმუდსკი, ვ. გულიაევი, ა. კაბანოვი, ვ. სობჩენკო, მ. მელნიკოვი, ლ. ოსიპოვი; მეორე რიგში: ა. დოლგუშინი, ა. ბარკალოვი, ა. დრევალი, ა. აკიმოვი, ა. შიდლოვსკი, მწვრთნელები ა. ბლიუმენტალი და ვ. სემიონოვი.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

## დ ღ ე ს

კალათბურთი (ნახევარფინალური მატჩები).

კრივი (ნახევარფინალები).

კლასიკური ჭიდაობა (წინასწარი შეჯიბრება).

ველოსპორტი (ინდივიდუალური საგზატკეცილო რბოლა)*.

ფრენბურთი (ფინალური მატჩები I-IV და V-VIII ადგილებისთვის — ქალები).

ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა (სანუგეშო სერიები).

ცხენის გაწვრთნა (პირადი შეჯიბრება. ფინალი: გუნდური შეჯიბრება)*.

მძლეოსნობა (ათჭიდი. პირველი დღე. ფინალები: უროს ტყორცნა, 110 მ თარჯრბენი, 400 მ რბენა — ვაჟები; ბირთვის კვრა, რბენა 200 და 400 მ — ქალები)*.

აფროსნობა (მეშვიდე რბოლა)*.

ხელბურთი (მატჩები IX-XVI ადგილებისთვის).

მშვილდოსნობა (ვაჟები — 90 მ და 70 მ; ქალები — 70 მ და 60 მ)*.

ფარიკაობა (გუნდური შეჯიბრება. ქალები. წინასწარი ტურნირი).

ბალახის ჰოკეი (მატჩები XIII-XIV და XV-XVI ადგილებისთვის. ნახევარფინალური მატჩები).

გათამაშდება 18 ოქროს მედალი (იხ. ვარსკვლავით აღნიშნული სახეობები).



სურათზე: მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრების საპრიზო სამეული საპატიო კვარცხლბეკზე. მარცხნიდან — ა. კრაიჩევი (II ადგილი), ი. ტალტსი (I ადგილი), შ. გრუცნერი (III ადგილი).

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

### მხოლოდ ოქროს მედლები ჩემპიონთა შედეგები

(4 სექტემბერი)

ძალოსნობა. მძიმე წონა.

1. იან ტალტსი (სსრ კავშირი) — 580 კგ (210+165+205); 2. ალექსანდრე კრაიჩევი (ბულგარეთი) — 562,5 (197,5+162,5+202,5) 3. შტეფან გრუცნერი (გდრ) — 555 (185+162,5+207,5).

წყალბურთი.

1. სსრ კავშირი, 2. უნგრეთი, 3. აშშ.

ველოსპორტი. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდური რბოლა.

1. გფრ — 4.22,14; 2. გდრ — 4.25,25. ბრინჯაოს მედლებისთვის ერთმანეთს შეხვდნენ დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის ველოსიპედისტები. გაიმარჯვეს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა — 4.23,78.

ფარიკაობა. ხმალი. გუნდური პირველობა.

1. იტალია, 2. სსრ კავშირი, 3. უნგრეთი.

მძლეოსნობა. სიმაღლეზე ხტომა. ქალები.

1. ულრიკა მაიფარტი (გფრ) — 192 სმ (მსოფლიო რეკორდის გამეორება); 2. იორდანკა ბლაგოევა (ბულგარეთი) — 188, 3. ილონა გუზენბაუერი (ავსტრია) — 188.

წყალში ხტომა. კოშკი. ვაჟები.

1. კლაუს დიბიასი (იტალია) — 504,12 ქულა; 2. რიჩარდ რაიძი (აშშ) — 480,75; 3. ფრანკო კანიოტო (იტალია) — 475,83... 5. დ. ამბარცუმიანი—463,56... 7. ვ. კაპირულინი — 459,21... 12. ა. გენდრიკსონი (სამივე — სსრ კავშირი) — 431,04.

ცურვა. 1500 მ თავისუფალი სტილით.

1. მაიკ ბარტონი (აშშ)—15.52,58 (მსოფლიო რეკორდი); 2. გრეჰემ უინდეტი (ავსტრალია) — 15.58,5; 3. დუგლას ნორთვეი (აშშ) — 16.09,2.

## ოლიმპიური მოზაიკა

ინგლისელ მძლეოსანთა გუნდში მეუღლეების ოთხი წყვილია. მათ შორის ყველაზე ცნობილი არიან ჯონ და შეილა შერვუდები. ცოლმა მეხიკოში ვერცხლი მოიგო სიგრძეზე ხტომაში, ქმარმა კი ბრინჯაო — 400 მეტრზე თარჯრბენში. ალენ და დელა პასკეები სპრინტერები არიან, ცოლ-ქმარი რეინები — მტყორცნელები, დეილი და პატ გროპერები 800 მეტრზე დარბიან.

უამრავი ხალხი იყრის თავს ოლიმპიური სოფლის შესასვლელთან. 10 წლის ბიჭებიდან დაწყებული, 70 წლის მოხუცებით დამთავრებული. საკმარისია რომელიმე ოლიმპიელი გამოჩნდეს, რომ იგი მყისვე ავტოგრაფების მოყვარულთა მჭიდრო რკალში ექცევა. პოლონელმა სპორტსმენმა ბალახოვსკიმ გადაწყვიტა ასეთი ალყისთვის გაქცევით დაეღწია თავი, მაგრამ ეს ცდა ფათერაკით დამთავრდა. გულშემატკივრებს რომ გაექცა და ფიქრობდა, სამშვიდობოს გასული ვარო, გზაზე ორმოჩორო ადგილი ვერ შეამჩნია და გაიშხლართა. ბალახოვსკის კუნთი გაეჭიმა და ამ ტრავმის მოშუშებას სამი დღე მაინც დასჭირდება.

მოჭიდავე გონზალესი (აშშ) იძულებული შეიქნა მთლიანად გადაეხოტრა თავი — სინანულით დაემშვიდობა გრძელ თმას, რითაც დიდად გაახარა თავისი მწვრთნელი. მაგრამ მოჭიდავემ დალაქის დახმარებას მწვრთნელის საამებლად როდი მიმართა. უბრალოდ, აწონვისას იგი ნორმაზე მეტი აღმოჩნდა... რამდენიმე გრამით.

გფრ-ის ტელევიზიამ ადგილობრივ მოსახლეობაში ტრადიციული ანკეტა ჩაატარა. შეკითხვები ეხებოდა ოლიმპიელთა ინტელექტს, გარეგნობას, მათ მოქცევას. საბჭოთა გუნდმა ხმების 96 პროცენტი დააგროვა და ამ თავისებურ ტურნირში გაიმარჯვა.

ოლიმპიადას ემსახურება 2600 სიმპათიური ქალიშვილი. ესენი სტუდენტი თარჯიმნები არიან. ქალიშვილები ჩაცმული არიან ბავარიის დროშის ცისფერი და თეთრი ფერის კაბებში. ქალიშვილთა ეს „არმია" შეარჩიეს იმ 4 ათასი პრეტენდენტისგან, რომლებიც მიუნჰენში ჩავიდნენ დასავლეთ გერმანიის სხვა ქალაქებიდან, აგრეთვე, სხვა ქვეყნებიდან. ყოველი მათგანი ფლობს სულ ცოტა ორ ენას, კარგად იცის სპორტნაგებობათა მდებარეობა, სპორტული ტერმინოლოგია, მიუნჰენის ღირსშესანიშნაობები და შეჯიბრებების წესებიც კი.

მათს რიცხვშია, მაგალითად, 22 წლის აბა მანა (ინდოეთი), რომელიც რვა ენაზე ლაპარაკობს.

სტოკჰოლმის 1912 წლის ოლიმპიადიდან მოყოლებული, გ. ლინდსტრომს (შვეცია) არც ერთი ოლიმპიური თამაშები არ გაუცდენია. თავდაპირველად იგი მაყურებლის როლში გამოდიოდა, 1928 წელს კი ქალთა მძლეოსნური შეჯიბრების მონაწილე გახდა. მომდევნო ოლიმპიადებზე ლინდსტრომი ჟურნალისტად ჩადიოდა. „მიუნჰენი, — თქვა ამ 75 წლის მანდილოსანმა, — ჩემი ბოლო ოლიმპიადა როდია".

თურქი მოჭიდავე ილმაზი, ერთ-ერთი ორთაბრძოლა რომ წააგო, თავქუდმოგლეჯილი შევარდა თავის გასახდელში და ჯავრი ავეჯზე იყარა — რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

ოლიმპიური თამაშების მონაწილეთათვის გამოყოფილია 300 ექიმი და 1400 მედდა.

# მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## 4 სექტემბერი

ცურვა. 200 მ გულაღმა. ქალები.

1. მელისა ბელოტი — 2.19,19 (მსოფლიო რეკორდი); 2. სიუზი ეთვუდი (ორივე — აშშ) — 2.20,3, 3. დონა-მარი გური (კანადა) — 2.23,7.

200 მ ბატერფლაით. ქალები.

1. კარენ მოუ — 2.15,6 (მსოფლიო რეკორდი); 2. ლინ კოლელა — 2.16,34; 3. ელი დანიელი (სამივე — აშშ) — 2.16,74.

კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მეტრზე. ვაჟები.

1. აშშ — 3.48,16 (მსოფლიო რეკორდი); 2. გდრ — 3.52,12, 3. კანადა — 3.52,26.

ძიუდო. მსუბუქი წონა.

1. ტაკაო კავაგუტი (იაპონია), 2. ბაილდა ბახავა (მონღოლეთი), 3. კიმ იანგ იკი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) და ჟან-ჟაკ მუნიე (საფრანგეთი).

• • •

## ფეხბურთი

### წინასწარი ტურნირები

I ქვეჯგუფი. გფრ — მალაიზია 3:0, გფრ — მაროკო 3:0, გფრ — აშშ 7:2, მაროკო — მალაიზია 6:0, მაროკო — აშშ 0:0, მალაიზია — აშშ 3:0. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. გფრ — 6 ქულა, 2. მაროკო — 3, 3. მალაიზია — 2, 4. აშშ — 1.

II ქვეჯგუფი. სსრ კავშირი — ბირმა 1:0, სსრ კავშირი — მექსიკა 4:1, სსრ კავშირი — სუდანი 2:1, მექსიკა — ბირმა 1:0, მექსიკა — სუდანი 1:0, ბირმა — სუდანი 2:0. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. სსრ კავშირი — 6, 2. მექსიკა — 4, 3. ბირმა — 2, 4. სუდანი — 0.

III ქვეჯგუფი. უნგრეთი — ირანი 5:0, უნგრეთი — ბრაზილია 2:2, უნგრეთი — დანია 2:0, დანია — ირანი 4:0. დანია — ბრაზილია 3:2, ირანი — ბრაზილია 1:0. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. უნგრეთი — 5, 2. დანია — 4, 3. ირანი — 2, 4. ბრაზილია — 1.

IV ქვეჯგუფი. პოლონეთი — კოლუმბია 5:1, პოლონეთი — გდრ 2:1, პოლონეთი — განა 4:0, გდრ — კოლუმბია 6:1, გდრ — განა 4:0, კოლუმბია — განა 3:1. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. პოლონეთი — 6, 2. გდრ — 4, 3. კოლუმბია — 2, 4. განა — 0.

## წყალბურთი

### წინასწარი ტურნირები

„ა" ჯგუფი. აშშ — იუგოსლავია 5:3, აშშ — კანადა 8:1, აშშ — რუმინეთი 4:3, აშშ — კუბა 7:6, აშშ — მექსიკა 7:5, იუგოსლავია — კანადა 12:4, იუგოსლავია — რუმინეთი 8:7, იუგოსლავია — კუბა 7:5, იუგოსლავია — მექსიკა 5:3, კუბა — კანადა 7:2, კუბა — რუმინეთი 4:3, კუბა — მექსიკა 6:4, რუმინეთი — კანადა 16:4, რუმინეთი — მექსიკა 9:6, მექსიკა — კანადა 7:3. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. აშშ — 10 ქულა, 2. იუგოსლავია — 8, 3. კუბა — 6, 4. რუმინეთი — 4, 5. მექსიკა — 2, 6. კანადა — 0.

„ბ" ჯგუფი. უნგრეთი — ჰოლანდია 3:0, უნგრეთი—ავსტრალია 10:2, უნგრეთი — საბერძნეთი 6:1, უნგრეთი — გფრ 3:3, გფრ — ჰოლანდია 4:4, გფრ — ავსტრალია 6:3, გფრ — საბერძნეთი 8:3, ჰოლანდია — ავსტრალია 4:2, ჰოლანდია — საბერძნეთი 6:2, ავსტრალია — საბერძნეთი 7:7. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. უნგრეთი — 7, 2. გფრ — 6, 3. ჰოლანდია — 5, 4. ავსტრალია — 1, 5. საბერძნეთი — 1.

„ გ" ჯგუფი. სსრ კავშირი — იტალია 4:1, სსრ კავშირი — ესპანეთი 8:5, სსრ კავშირი — იაპონია 11:1, სსრ კავშირი — ბულგარეთი 7:2, იტალია — ესპანეთი 6:2, იტალია — იაპონია 12:5, იტალია — ბულგარეთი 8:5, ესპანეთი — იაპონია 6:4, ესპანეთი — ბულგარეთი 6:4, ბულგარეთი — იაპონია 7:4. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. სსრ კავშირი — 8, 2. იტალია — 6, 3. ესპანეთი — 4, 4. ბულგარეთი — 2, 5. იაპონია — 0.

## ფრენბურთი

### ქალები

### წინასწარი ტურნირები

„ა" ჯგუფი. სსრ კავშირი — უნგრეთი 3:1, სსრ კავშირი — გფრ 3:0, სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 3:1, სამხრეთ კორეა — უნგრეთი 3:0, სამხრეთ კორეა — გფრ 3:0, უნგრეთი — გფრ 3:0. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. სსრ კავშირი — 3 ქულა, 2. სამხრეთ კორეა — 2, 3. უნგრეთი — 1, 4. გფრ — 0.

„ბ" ჯგუფი. იაპონია — კუბა 3:0, იაპონია — კსდრ 3:0, იაპონია — ჩეხოსლოვაკია 3:0, კსდრ — კუბა 3:0, კსდრ — ჩეხოსლოვაკია 3:0, კუბა — ჩეხოსლოვაკია 3:1. ა დ გ ი ლ ე ბ ი. 1. იაპონია — 3, 2. კსდრ — 2, 3. კუბა — 1, 4. ჩეხოსლოვაკია — 0.



ს უ რ ა თ ზ ე: 800 მეტრზე ქალთა ფინალური გარბენის მომენტი. წინაა გამარჯვებული ჰ. ფალკი (გფრ), მას კვალში მიჰყვება ნ. საბაიტე (სსრ კავშირი). საკდესის ტელეფოტო.



ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირისა და მაროკოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩის მომენტი. საკდესის ტელეფოტო.




გუშინწინ მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ცსკა — „დნეპრი".

დნეპროპეტროვსკელთა კარში არმიელების პოლიკარპოვისა და ტელინგერის მიერ გატანილმა ბურთებმა მატჩის ბედი მოსკოველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა — 2:0.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 19 | 11 | 5 | 3 | 32—15 | 27 |
| ცსკა | 21 | 12 | 3 | 6 | 27—21 | 27 |
| „არარატი" | 20 | 9 | 6 | 5 | 29—17 | 24 |
| „დინ." (მნ.) | 20 | 7 | 8 | 5 | 21—18 | 22 |
| „დინ." (თბ.) | 19 | 8 | 6 | 5 | 21—19 | 22 |
| „დინ." (კ.) | 19 | 7 | 7 | 5 | 30—24 | 21 |
| „დინ." (მ.) | 19 | 9 | 3 | 7 | 26—20 | 21 |
| „დნეპრი" | 20 | 6 | 9 | 5 | 24—24 | 21 |
| „ზენიტი" | 21 | 6 | 8 | 7 | 22—22 | 20 |
| „ტორპედო" | 20 | 7 | 6 | 7 | 20—26 | 20 |
| „კარპატი" | 20 | 7 | 5 | 8 | 18—22 | 19 |
| ასკ | 20 | 6 | 6 | 8 | 23—26 | 18 |
| „სპარტაკი" | 18 | 6 | 4 | 8 | 22—21 | 16 |
| „ყაირათი" | 21 | 2 | 12 | 7 | 12—21 | 16 |
| „ლოკომოტ." | 21 | 3 | 6 | 12 | 19—31 | 12 |
| „ნეფთჩი" | 20 | 4 | 4 | 12 | 16—35 | 12 |

# სპორტულ-ტექნიკურ კომისიაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ (თავმჯდომარე ა. პაიჭაძე), რომლის შემადგენლობა საგრძნობლად განახლებულია, თავის სხდომაზე განიხილა რესპუბლიკურ გათამაშებათა მატჩებში მომხდარ დარღვევათა საკითხები და მკაცრად დასაჯა ისინი, ვინც უდიერად არღვევს შეჯიბრების წესებს და უხამსი საქციელით არცხვენს საბჭოთა სპორტსმენის საპატიო სახელს.

თბილისის „შევარდენისა" და გურჯაანის „ალაზნის" მატჩში ძალიან უწესოდ იქცეოდნენ „შევარდენის" მოთამაშეები, ხოლო გ. მამალაძემ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა და გაარტყა მსაჯს. სპორტტექნიკურმა კომისიამ მკაცრად გააფრთხილა მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ჯ. მაჭავარიანი, მოხსნა გუნდის კაპიტანი ა. ლეკვეიშვილი, ხოლო გ. მამალაძეს საერთოდ აუკრძალა ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა, ამას გარდა, სპეციალური წერილით მიმართა აეროფლოტის ხელმძღვანელობას „შევარდენში" შექმნილი არანორმალური მდგომარეობის შესახებ.

სიღნაღის „ცისკრისა" და დუშეთის „არაგვის" მატჩში მსაჯს უშვერი სიტყვებით მიმართა „არაგვის" მოთამაშემ თ. ხულუზაურმა. თვით ეს საქციელი სავსებით იმსახურებს იმ სასჯელს, რომელიც ხულუზაურმა მიიღო — 1 წლით დისკვალიფიკაციას, მაგრამ საქმე მხოლოდ ამით არ ამოიწურა. გამოირკვა, რომ ხულუზაური უწინაც დაძევებული ყოფილა მინდვრიდან და, როგორც წესი, მორიგ კალენდარულ მატჩში თამაშის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა თამაშს. ამის გამო კომისიამ დაადგინა ყველა იმ შეხვედრაში, რომლებშიც ეს ფეხბურთელი ნებადაურთველად გამოდიოდა, დუშეთის „არაგვს" ჩაეთვალოს წაგება, გუნდის მწვრთნელს ა. ჟორდანაშვილს კი მკაცრი გაფრთხილება მიეცა.

თრიალეთის „ამირანისა" და წყალტუბოს „სამგურალის" მატჩში ყოვლად უმსგავსოდ იქცეოდნენ „სამგურალის" მოთამაშეები, განსაკუთრებით, ვ. ხელაძე. ამ ფეხბურთელს საერთოდ აეკრძალა ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა. გუნდის კაპიტნობიდან მოიხსნა ზ. თუთბერიძე, რომელსაც ჯ. კანდელაკთან ერთად ორი თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია. კოლექტივში არსებული დარღვევებისთვის გაფრთხილებულია მწვრთნელი ნ. კოხრეიძე.

რესპუბლიკურ შეჯიბრებებში გახშირდა გუნდების შემადგენლობებში განუცხადებელ მოთამაშეთა მინდორზე გამოყვანა, ფეხბურთელთა პირადი ბარათების შეცვლა და სხვა მსგავსი დარღვევები. ასეთი შემთხვევები მოხდა ცხინვალის „ავტომობილისტში", თიანეთის „იორში", ლანჩხუთის „კოლმეურნეში", მცხეთის „არაგვში", გარდაბნის „რუბეროიდში" და სხვაგან, ამ გუნდებს წაგებები ჩაეთვალათ.

სხვადასხვა დარღვევისთვის დაისაჯნენ თ. ცუცქირიძე (ჭიათურის „მაღაროელი"), ო. რევაზიშვილი (გორის რაიონის „ქართლი"), ი. ხომიაკოვი (თერჯოლის „იმერეთი"), გ. ჯანელიშვილი (გურჯაანის რაიონის „ვაზი"), კ. ამბარიანი (ახალციხის „მესხეთი").

წალკის „თრიალეთში" სისტემატურად ირღვეოდა დისციპლინა, ამიტომ გუნდი გათამაშებიდან მოიხსნა, ხოლო მის მოთამაშე ვ. მიქაძეს მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის საერთოდ აეკრძალა ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობა.

„ოქროს თავთავის" რესპუბლიკური გათამაშების ფინალურ მატჩში (ლაითურის „გიგანტი" — აწყურის „სამცხე"), რომელიც თბილისში შედგა, მსაჯს უცენზურო სიტყვებით მიმართა აწყურელმა მ. კიკაძემ. ეს ფეხბურთელი უწინაც იყო შემჩნეული წესრიგის დარღვევაში, პირობითი დისკვალიფიკაციაც ჰქონდა, ამიტომ კომისიამ დაადგინა კიკაძე საერთოდ აღარ დაუშვას ოფიციალურ შეჯიბრებებში.

სერიოზული დარღვევები მოხდა ბოგდანოვკაში ადგილობრივი „ფარვანასა" და გორის „ლიახვის" მატჩის დროს. შეხვედრა არ იყო ჯეროვნად ორგანიზებული და, ამას გარდა, ბოგდანოვკელებს არ ჰქონდათ ფეხბურთელთა პირადი ბარათები. „ფარვანას" ამ მატჩში წაგება ჩაეთვალა.

● ლენინგრადი, 4 სექტემბერი. ადგილობრივი „ნევის" სპიდვეისტთა გუნდმა ორდღიან ბრძოლაში სძლია ბალაკოვოს „ტურბინის" მოტოციკლისტებს და პირველად მოიხვეჭა სსრ კავშირის თასი. ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა, რასაც ნათლად ადასტურებს ამ ორი გუნდის ქულათა სხვაობა: გამარჯვებულმა 70 ქულა დააგროვა, „ტურბინამ" — 69.

● ლენინგრადი, 4 სექტემბერი. ავტორალიში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა ფსკოვის, ნოვგოროდისა და ლენინგრადის ოლქების გზებზე 3000 კილომეტრი განვლეს. სხვადასხვა კლასის მანქანებში გაიმარჯვეს: ლ. შუვალოვისა და ლ. პოტაპჩიკის, ძმების კ. და ა. გირდაუსკასების (ორივე წყვილი — ლიტვა), ვ. მოსოლოვისა და ვ. გურიევის (გორკი), ე. სინგურინდისა და ე. ტიუტიკოვის (ლენინგრადი) ეკიპაჟებმა.

დეპეშა ოშიდან

# საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით



სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრები გუნდების წევრებმა — საქართველოს მთამსვლელებმა მ. ჭიჭინაძემ, გ. ახვლედიანმა, ლ. ვარდანიანმა, ნ. ნემსიწვერიძემ, შ. გაბისიანმა, დ. ცომაიამ და ჩუბინიძემ საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით განახორციელეს საკონკურსო ასვლა კომუნისტური აკადემიის სახელობის მწვერვალზე სამხრეთ-დასავლეთის კედლით.

საქართველოს მთამსვლელებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კომუნისტური აკადემიისა და ლარმოს მწვერვალების 19-დღიან ტრავერსში. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ახვლედიანმა ლარმოს მწვერვალზე საქართველოს მთამსვლელთა 1957 წლის ექსპედიციის დატოვებული წერილი ნახა, რომელსაც ხელს აწერენ ჯ. მეძმარიაშვილი, თ. კუხიანიძე, ბ. ხერგიანი, ლ. და ზ. ახვლედიანები, რ. და ო. ხაზარაძეები და სხვ.

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ასვლები გრძელდება.

გ. ყალაბეგიშვილი,
გუნდის მწვრთნელი.

# ჭადრაკის კომპოზიტორთა წარმატება

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ ამას წინათ დაამტკიცა VII საკავშირო გუნდური პირველობის შედეგები საჭადრაკო კომპოზიციაში. შეჯიბრებაში წარმოდგენილი იყო 1970-71 წლებში შექმნილი ამოცანები და ეტიუდები.

ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა ბელორუსიის გუნდმა (187 ქულა), რომელსაც ათივე დაფაზე თანაბარი ძალის შემდგენლები ჰყავდა.

II ადგილი დაისაკუთრა საქართველოს გუნდმა (გ. ნადარეიშვილი, ი. კრიხელი, ვ. კალანდაძე, ვ. სავჩენკო, რ. თავარიანი, ი. შოშტი, შ. სუსიტაშვილი, ვ. ნეიძე) — 166,5. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად ტყიბულელ სავჩენკოს (გუნდს 56 ქულა მისცა) და გორელ საერთაშორისო ოსტატ კრიხელს (38).

III ადგილზეა ლატვია — 165,5, IV — ლენინგრადი — 158,5, V — მოსკოვი — 157,5.

ვ. ნეიძე,
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის კომპოზიციის კომისიის მდივანი.

ბიბლიოთეკა

# 2. საფეხბურთო სკოლის კულისებში

## (ბათუმი, მახარაძე, სოხუმი)

მაშ ასე, საწვრთნელი მეცადინეობა. დავიწყოთ დოკუმენტაციით. რატომ? იმიტომ, რომ სწორად წარმოებული დოკუმენტაცია საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რა ჰქონდა დაგეგმილი გუნდს საწვრთნელი პროცესის მოცულობისა და შინაარსის თვალსაზრისით და რა გაკეთდა სინამდვილეში. თუ იგი მოწესრიგებული არ არის და მხოლოდ ხანმოკლე პირად დაკვირვებებს უნდა დავეყრდნოთ, პროცესის მთლიან სურათს ვერ წარმოვიდგენთ და მის ყველა ასპექტს ვერ გავაანალიზებთ.

ეჭვი არ არის, ამ მხრივ მარშანიელთან შედარებით სამივე გუნდს წინ გადაუდგამს ნაბიჯი. განსაკუთრებით სრულია დოკუმენტაცია ბათუმის „დინამოში" (უფროსი მწვრთნელია ბ. ცირიკი). აქვთ მზადების წლიური გეგმა, რომლის ტექნიკურ ნაკლადაც მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობათა საერთო დრო თვის მონაკვეთში ცალ-ცალკე არ არის ნაჩვენები. ასევე არ ჩანს, ამა თუ იმ თვეში რამდენ საათს ახმარს გუნდი ძირითად, დამატებითს და დილის მეცადინეობებს. როგორც ხედავთ, ნაკლი საკმაოდ მნიშვნელოვანია. წლიური გეგმის გარდა, გუნდს აქვს ყველა გასული თვის ოპერატიული გეგმებიც და მონაცემები მათი შესრულების შესახებ. შემოღებულია მეცადინეობათა კონსპექტირება. ჟურნალში ყველა ჩატარებულ მეცადინეობაზე ნახავთ ჩანაწერებს. ასეთი დოკუმენტაცია უფრო არსებითი ანალიზის საშუალებას იძლევა.

საერთოდ, ბათუმის „დინამო" კარგი ტრადიციების გუნდია, საკმაოდ თანაბარი შემადგენლობა, გამოცდილი ფეხბურთელები და ნიჭიერი ახალგაზრდები ჰყავს. მას შეუძლია მახარაძელებსა და სოხუმელებზე უკეთ ჰქონდეს საქმე. კარგი იქნება საკუთარი საწვრთნელი ბაზაც ჰქონდეს. ამაზე უკვე რამდენიმე წელია გრძელდება ლაპარაკი, მაგრამ საქმე წინ არ წასულა. ბათუმის „დინამო" უდავოდ ფლაგმანია, თუ შეიძლება ასე ითქვას, რესპუბლიკის „ა" კლასის II ლიგის გუნდებისა. დიდ ხომალდს კი, მოგეხსენებათ, სივრცეც დიდი სჭირდება.

ის გარემოება, რომ მახარაძის „მერცხალზე" ან გორის „დილაზე" წინ დგას, ბათუმის „დინამოსთვის" ჯერ კიდევ არ შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს. ნამდვილი წარმატება მხოლოდ ზონაში გამარჯვება იქნება.

სამისოდ არსებობს ყველა ობიექტური მონაცემი. მაგრამ სუბიექტური? რა შთაბეჭდილებას ტოვებს გუნდის მოსამზადებლად გაწეული მუშაობა? ჩემი აზრით, მას, ცოტა არ იყოს, კონსერვატიზმის ელფერი დაჰკრავს. თვალით ნანახიც და საბუთებიც მოწმობენ, რომ საწვრთნელ მეცადინეობებს აკლია ენერგია, მიზანდასახულობა და ორიგინალობა. დღეს ისეთი დროა, შაბლონით, რაგინდ კეთილსინდისიერადაც სრულდებოდეს, შორს ვერ წახვალ.

ბოლო დროის უჩვეულო წარმატებები სპორტში პირდაპირ ვეებერთელა მუშაობას ეყრდნობა — დიდი დატვირთვით და ინტენსივობით წვრთნას. ეს აუცილებელია ფეხბურთელთა ოსტატობის სრულყოფისა და შრომისუნარიანობის ამაღლებისთვის. ერთი სიტყვით, დატვირთვა, დაქანცულობის დაძლევა და სუპერაღდგენის აქტიური პროცესი — აი, ის ოპტიმალური ენერგეტიკული ფონი, რაც ეფექტური წვრთნისთვის აუცილებელია.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ II ლიგის სპეციფიკაც, მისი თამაშებს შორისი სამდღიანი ინტერვალებით, რაც საშეჯიბრებო პერიოდში წვრთნის შესაძლებლობას ზღუდავს, აგრეთვე, ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც გვავალებს უმთავრესად ამ უკანასკნელის ხარჯზე გადავჭრათ წლიური მზადების ძირითადი ამოცანები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, II ლიგაში ბოლო დროის სპეციფიკა გამოირჩევა მოსამზადებელი პერიოდის მნიშვნელობის ზრდით და სამერმისოდ — ხანგრძლივი, მომქანცველი საშეჯიბრებო ეტაპისთვის საჭირო სიმტკიცის მეტი მარაგით. ლაპარაკია ფეხბურთელთა ყოველმხრივი მომზადების მოცულობისა და ინტენსივობაზე საერთოდ, კერძოდ კი ფიზიკურ მომზადებასა და აქცენტებზე.

შექმნა თუ არა გუნდმა სიმტკიცის ეს მარაგი მოსამზადებელ პერიოდში? ალბათ არა. იგი თითქოს დღეს არ კარგავდა უვარჯიშოდ. ეგ კი არა, ზოგჯერ მწვრთნელი უხეშად არღვევდა წვრთნის საბჭოური მეთოდიკით დადგენილ შეჯიბრებათა, დასვენებისა და წვრთნის ციკლური მონაცვლეობის წესს. 13 დღის განმავლობაში, 9-დან 23 მარტამდე, მან ჩაატარა 4 მატჩი, 3 მეცადინეობა დიდი და 6 — საშუალო დატვირთვით. დასვენებისთვის არც ერთი დღე არ გამოუყვია. მაგრამ, სინამდვილეში, როგორც ჩანს, „დატვირთვა" მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა და ამიტომ, რასაკვირველია, არც დასვენება იქნებოდა საჭირო. ასეთი მეცადინეობა ვის რაში არგია. სჯობს არ შეზღუდო დაწესებული დასვენების დღეები და, სამაგიეროდ, არც ოპტიმალურ დატვირთვას გაურბოდე. არადა, ამ საფრთხის არსებობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მარტსა და აპრილში გათვალისწინებული 25 დამატებითი მეცადინეობის ნაცვლად გუნდმა მხოლოდ 10 ჩაატარა.

გვაოცებს საწვრთნელ მეცადინეობათა არა მარტო მოცულობა და ინტენსივობა, არამედ მისი აქცენტებიც, თუ ფიზიკურ მომზადებას ვგულისხმებთ.

ზრუნავდა თუ არა გუნდი საერთო ამტანობის გამომუშავებისთვის? როგორც ჩანს, არა. მთელი მოსამზადებელი პერიოდის მანძილზე მან მხოლოდ ერთხელ (24 თებერვალს) ჩაატარა 40-წუთიანი კროსი ზღვის ნაპირზე, სამი თვის განმავლობაში კი ამტანობის ვარჯიშებმა სულ 9,7 საათი შეადგინა.

სერიოზულად მუშაობდა თუ არა გუნდი ფეხბურთელთა სისწრაფის გაზრდისთვის? არა! საკმარისია ითქვას, რომ სულ 3 თვის განმავლობაში ამ სახის ვარჯიშებს 12,9 საათი დასჭირდა, ესე იგი, იმაზე ნაკლები, ვიდრე ძალისა (13,2) და მოქნილობის გამოსამუშავებელ ვარჯიშებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის მაგიერ, რომ ფიზიკური მომზადებისთვის გამოყოფილი დროის 60-დან 40 პროცენტი სისწრაფეს მოხმარდეს, გუნდი 23 პროცენტს დასჯერდა.

სისწრაფე და ჩქაროსნული ამტანობა ის თვისებებია, ურომლისოდაც თანამედროვე ფეხბურთი ვერ იარსებებს. ამ თვალსაზრისით კი ყურადღებას ისიც იპყრობს, რომ საწვრთნელ მეცადინეობებში საერთოდ უგულებელყოფილია სპეციფიკური განმეორებითი რბენა — დიდ სისწრაფეზე დროის აღნიშვნით გარბენათა სერიები.

რასაკვირველია, დასკვნების გამოტანა არ უნდა ვიჩქაროთ. გუნდს შეიძლება ნაკლი და ხარვეზები ჰქონდეს წვრთნაში, მაგრამ ჩემპიონატში ხომ საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობს. ვიმეორებ, მხოლოდ დრომ შეიძლება ამაზე სწორი პასუხი გაგვცეს. მხოლოდ მაშინ გავიგებთ, ეყოთ გუნდებს სიმტკიცის მარაგი, თუ არა. სხვათა შორის, ბათუმელთა წლევანდელი წარმატებები მარტო წვრთნის ორგანიზაციას არ შეიძლება დავუკავშიროთ. აქ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფეხბურთელთა გუნდის უფრო ძლიერმა შემადგენლობამაც.

სხვა მდგომარეობაა მახარაძის „მერცხალში". ჯერ რამდენიმე სიტყვა დოკუმენტაციაზე, რაც ბათუმის გუნდისას სისრულით აშკარად ჩამოუვარდება. წლიური გეგმა აქვთ, ოპერატიული გეგმები და ანგარიშები — არა. არც მეცადინეობის კონსპექტებს ადგენენ, რაც დაუშვებელია. სამაგიეროდ, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ჟურნალში შესრულებული ჩანაწერები. ისინი ნათლად ასახავენ წვრთნის შინაარსსა და დაძაბულობას. განსაკუთრებით სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ფიზიკურ მომზადებაშიც კი მიღებული ზოგადი ჩანაწერების ნაცვლად (მაგალითად, „სისწრაფის სრულყოფა"), კონკრეტული ვარჯიშებია მოყვანილი.

ჟურნალში ჩაწერილი სინამდვილეს შეეფერება. გუნდის მწვრთნელი ა. ნორაკიძე საკუთარი პროფესიული ხელწერით გამოირჩევა. მის მიერ ჩატარებული საწვრთნელი მეცადინეობები სიცოცხლითა და შესრულების აზარტით განსაკუთრებულია. წინასწარ აქვე ვიტყვი, რომ ასეთივე ტემპიანი, აზარტული და საინტერესო იყო სოხუმში მწვრთნელ იოლჩიდის მიერ ჩატარებული მეცადინეობა ოსტატთა გუნდთან.

მახარაძე პატარა ქალაქია და ჯერ კიდევ არა აქვს დიდი ფეხბურთის ისეთი ტრადიციები, როგორიც, მაგალითად, ბათუმს. არც შესაძლებლობები აქვს ისეთი. სტადიონზე არავითარი დამხმარე მოწყობილობა არ არის (გადასატანი კარი, კედლები, სამიზნეები და სხვ.), არც აუცილებელი ჰიგიენური პირობებია დაცული.

უფრო რთული გადასაწყვეტია გუნდის დაკომპლექტების საკითხი. აქ არ შეიძლება ინერციის ძალას დაეყრდნო, ვინაიდან ეს ძალა არ არსებობს. აქ რასაც დასთეს, იმას მოიმკი. „მერცხალი" თავის წარმატებას დიდად უნდა უმადლოდეს რაიონული ორგანიზაციების მზრუნველობას და ენთუზიასტ ადგილობრივ სპორტულ მუშაკებს, რომელთაგანაც პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე კ. გოგოტაძე. მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრი რამ მხოლოდ ა. ნორაკიძის დამსახურებაა, როგორც მწვრთნელისა და სელექციონერისა, რაც, ფაქტიურად ერთი და იგივეა.

ა. ნორაკიძის საწვრთნელ მეცადინეობებში უნდა აღინიშნოს გამუდმებული აქცენტი ჩქაროსნულ ამტანობაზე. ყურადღებას იმსახურებს მწვრთნელის მისწრაფება დატვირთვის არა ტალღისებური, არამედ ფეხბურთის რეჟიმისთვის უფრო შესაფერი — დატეხილი, ზიგზაგისებური მრუდის აგებისკენ. მაგრამ მისი ყველა სიახლე ერთნაირად საინტერესო როდია. მაგალითად, ჩემი აზრით, გამართლებული არ არის, რომ მწვრთნელი ცდილობს დააჯგუფოს დასვენების 2-3 დღე გახანგრძლივებული ციკლის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ერთი რამ უდავოა: ნორაკიძე მაძიებელი მწვრთნელია და მისი ძიება საკვებს იძლევა ჩვენი საწვრთნელი მეთოდიკის პროგრესისთვის, მით უმეტეს, რომ იგი პრაქტიკულად თითქმის მუდამ კარგ შედეგებს აღწევს.

მახარაძელთა მაგალითი გვიჩვენებს, რომ ფეხბურთს მარტო ტრადიციები არ აცოცხლებს. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდით სოხუმში. ამ ქალაქს, მოგეხსენებათ, ტრადიციები არ აკლია. რამდენი ბრწყინვალე ფეხბურთელი აღზარდა აფხაზეთმა, რა მაღალი კლასით გამოირჩეოდა მუდამ მისი ფეხბურთი! მაშ ახლა რა მოხდა?

პასუხად აფხაზეთის ფეხბურთის სპეციალისტები მყისვე ობიექტურ მიზეზებს იშველიებენ. ბევრში მართალნიც არიან. დიდ, თანამედროვე ქალაქში ერთი კეთილმოუწყობელი და პატარა სტადიონია (იგი 5 ათასზე ცოტა მეტ მაყურებელს იტევს). ამის გამო ეცემა საწვრთნელი მეცადინეობის ხარისხი. არავითარ დამხმარე მოწყობილობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება — დასაწყობი ადგილიც არა აქვთ. ეს დიდ ზიანს აყენებს ცვლის აღზრდის საქმესაც — ბავშვები რომ შეუშვან სავარჯიშოდ, ისედაც უვარგისი მინდორი სათამაშოდ საერთოდ აღარ გამოდგება. დასასრულ, ეს ზიანს აყენებს გუნდის ხაზინასაც, ვინაიდან ასეთ პატარა სტადიონზე მიღებული შემოსავალი დიდხანს არავის გასწვდება. ამას დაუმატეთ, რომ სტადიონი ნახევარჯერ ცარიელია. შედეგად გვაქვს „ეკონომიის" უმკაცრესი რეჟიმი — წინასამატჩო შეკრებების შეზღუდვა. ეს ყოველივე გუნდს, რასაკვირველია, სხვებზე ცუდ პირობებში აყენებს. რა გამოდის? „ეკონომიის" რეჟიმი მოქმედებს თამაშის კლასზე. კლასის დაცემა თავის მხრივ კიდევ უფრო აღრმავებს გუნდის ფინანსურ გასაჭირს და ეკონომიის რეჟიმის კიდევ უფრო გამწვავებას მოითხოვს. რასაკვირველია, მეც ვარ ფინანსური დისციპლინის მომხრე, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: რათა გუნდის შემოსავალი გაიზარდოს, მასობრივი მაყურებელი დაინტერესებული უნდა იყოს თამაშით, ესე იგი, თამაშის კლასი უნდა ამაღლდეს. აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ იმის ეკონომია საზიანოა, რაც პროგრესს განაპირობებს.

დღევანდელი კვერცხის და ხვალინდელი ქათმის ამ თავისებური პრობლემის რადიკალურად გადაჭრა ალბათ მხოლოდ ახალ სტადიონს შეუძლია. არადა, იმ ხრიოკი ადგილის ისტორია, რომელიც ოდესღაც სტადიონად უნდა იქცეს, უკვე მეორე ათეული წელია გრძელდება. ყველაზე სამარცხვინო ისაა, რომ წლიურს მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხა არც კი აუთვისებიათ.

ესე იგი, რამდენად ობიექტური მიზეზი ყოფილა სტადიონის უქონლობა?

ასეა თუ ისე, ობიექტური სიძნელეები აშკარაა. მაგრამ რა გააკეთეს ამ სიძნელეთა დასაძლევად გუნდის ხელმძღვანელებმა? ისევ მოგვიხდება ლაპარაკი საწვრთნელ მეცადინეობებზე. და ისევ დოკუმენტაციით უნდა დავიწყოთ.

გუნდის წლიურ გეგმაში საწვრთნელ მეცადინეობებს 819 საათი ეთმობა, 161 საათით მეტი, ვიდრე ბათუმელებთან, და 145-ით მეტი, ვიდრე მახარაძის გუნდში. დამატებითი მეცადინეობა გათვალისწინებულია 67, ესე იგი, ბათუმელ დინამოელებზე 10-ით, ხოლო „მერცხალზე" 21-ით მეტი. როგორც ჩანს, გუნდის ხელმძღვანელები [illegible] ყოფილან განწყობილი.

ასე ჩანს... მაგრამ საქმის უფრო დეტალური გაცნობით სურათი სხვაგვარად წარმოგვიდგება. დიდი დატვირთვით მეცადინეობად ჩათვლილია შეჯიბრებები, რომლებიც ამ გზით ორჯერ არის გამოყენებული: 168 საათი შეჯიბრებების სახით, 112 საათი — დიდი დატვირთვით ვარჯიშის სახით.

გეგმას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება. გუნდში ის არ ითვლება სახელმძღვანელოდ. აი, კიდევ ერთი მაგალითი: ამდენი დაგეგმილი დამატებითი მეცადინეობიდან თვეების მანძილზე ერთიც არ ჩატარებულა.

წლიური გეგმა შეუდგენიათ მაინც, ოპერატიულ გეგმა-ანგარიშებს კი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დეფიციტური ფორმები აქვთ, საერთოდ არ აწარმოებენ. არ ადგენენ მეცადინეობის კონსპექტებს. საწვრთნელ ვარჯიშებზე მხოლოდ ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით შეიძლება მსჯელობა. ნაწილობრივ ამ ჩანაწერებით თუ მიხვდება კაცი, რატომ ჩამორჩებიან ფეხბურთელები ფიზიკურ მომზადებაში, რაც საკონტროლო ნორმატივების ჩაბარების შემოწმებამ გვიჩვენა.

ეს ჩანაწერები გვარწმუნებს, ფეხბურთელები სისტემატურად ვარჯიშობდნენ დარბაზში სისწრაფის განვითარებისთვისო. უპოვიათ ადგილი! განა დარბაზში შეიძლება მაქსიმალური სისწრაფის განვითარება და სრულყოფა? მით უმეტეს ჩქაროსნული ამტანობისა? დასასრულ, განა შესაძლებელია საერთო ამტანობის სრულყოფა სამი, ოთხი და ექვსი კილომეტრის ორ საათში გარბენით, როცა ამ მანძილის ზომიერი ნაბიჯით გავლას საათი არც კი სჭირდება? არადა, ჟურნალში ამ „კროსებს" დიდი დატვირთვით მეცადინეობა ეწოდება. ყურადღებას იქცევს გატაცება სათამაშო ვარჯიშებით („კვადრატები") 4:2 — ოთხ ფეხბურთელს არავითარი ძალის დაძაბვა არ სჭირდება საიმისოდ, რომ ბურთი დაუბრკოლებლად გადასცეს პარტნიორს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საწვრთნელი მეცადინეობის მოცულობა და ინტენსივობა გუნდში საკმარისი არ იყო, მწვრთნელები გაურბოდნენ დამღლელ ვარჯიშს.

სხვათა შორის, მწვრთნელი ი. გრამატიკოპულო არც მალავს ამას. მას საკუთარი თეორია აქვს, გვარწმუნებს, რომ გუნდში შექმნილი პირობების მიხედვით მეცადინეობა მხოლოდ დაბალი დატვირთვით არის შესაძლებელიო. ამიტომ, თურმე, შეუძლებელი ყოფილა დამატებითი მეცადინეობების ჩატარებაც სასწავლო შეკრების დღეებში.

დღეს ასე მუშაობა არ შეიძლება. ობიექტურად, მწვრთნელები მხოლოდ უსაქმურებისა და ზარმაცების წისქვილზე ასხამენ წყალს. სხვათა შორის, ზოგს ისეთი შევნიშნეთ სიზარმაცე, [illegible], რომ ჰკითხო, წონის დაკლება უნდა. მათ უნდა ვუთხრა, რომ აქსიონოვი, მაგალითად, რომელსაც ძალიან კარგად ესმის შრომისუნარიანობის როლი თავის თამაშში, ნებისმიერ საქმეს ენერგიულ ვარჯიშად აქცევს ხოლმე.

საერთოდ კი უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ სოხუმელთა საწვრთნელი მეცადინეობები ფიზიკურ მომზადებაში არ იყო იმდენად შინაარსიანი, ტევადი, საინტერესო, რომ რაიმე ეფექტი გამოეწვია.

**ვ. მდივანი,**
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრი.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ნეცერი — № 1

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „შპორტ კურირმა" ჩაატარა დიდი კონკურსი მწვრთნელთა და ჟურნალისტთა შორის, რომელსაც რესპუბლიკის № 1 ფეხბურთელი უნდა დაესახელებინა.

როგორც ამას ბევრი წინასწარ მოელოდა, გაიმარჯვა ნაკრებისა და მენჰენგლადბახის „ბორუსიის" ნახევარმცველმა ნეცერმა, რომელმაც 587 ხმა მოაგროვა.

მომდევნო ოთხ ადგილზე არიან მიუნჰენის „ბაიერნის" მოთამაშეები მიულერი (563 ხმა), ბეკენბაუერი (555), მაიერი (187) და ბრაიტნერი (153).

● ●

### „სპორტის" კონკურსი

ცნობილმა პოლონურმა გაზეთმა „სპორტმა" (კატოვიცე) მწვრთნელებისა და ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად პოლონეთის № 1 ფეხბურთელად აღიარა ლიუბანსკი, რომელმაც 129 ხმა მიიღო.

სხვა მეტოქეებს ლიუბანსკიმ შორს ჩამოიტოვა. დეინამ მიიღო 85 ხმა, შიმჩაკმა — 77, ანჯეიცმა — 75, ბანაშმა — 59.

● ●

### პელეს უკანასკნელი კონტრაქტი

სან-პაულუში გამოცხადდა, რომ „სანტოსმა" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი პელესთან. ეს კონტრაქტი, რომელიც 1974 წლის ზაფხულში მთავრდება, უკანასკნელი იქნება „ფეხბურთის მეფის" კარიერაში. როგორც თვითონ პელემ განაცხადა, მისი დამთავრების შემდეგ იგი საბოლოოდ დაანებებს თავს ფეხბურთს.

● ●

### ჩინებული შედეგები

ზაფხულის განმავლობაში ბრაზილიის „სანტოსმა" ორთვიანი გასტროლები გამართა ევროპაში, აზიასა და ამერიკაში. 17 მატჩიდან „სანტოსმა" მოიგო 15 და 2 ფრედ დაამთავრა.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

## ხვალ

**განახლდება თბილისის საფეხბურთო ჩემპიონატი.**

ამასთან დაკავშირებით, გუნდების წარმომადგენლები დღეს, 18 საათზე უნდა გამოცხადდნენ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში (კონსტიტუციის ქ. № 6).

თბილისის „სპარტაკის" რაგბისტები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ გუნდის წევრი

**თენგიზ ბორისის ძე მიქაბერიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# მეორე მატჩი კანადელებმა მოიგეს

ტორონტო, 4 სექტემბერი. დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრების მეორე შეხვედრამ კანადელ პროფესიონალებთან.

ამჯერად გამარჯვება მასპინძელი ქვეყნის საუკეთესო პროფესიონალი მოთამაშეების ნაკრებმა იზეიმა — 4:1 (0:0, 1:0, 3:1).

შაიბები გაიტანეს: კანადელთაგან — ესპოზიტომ, კორნუაიემ, პ. მაჰოვლიჩმა, ფ. მაჰოვლიჩმა, სტუმართაგან — იაკუშევმა.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 02645